**სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 4 ივნისის №30 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2**

ქ. თბილისი 18 ივნისი 2013 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

კომისიის თავმჯდომარე: ლევან დავითაშვილი – თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;

კომისიის წევრი: პაატა ჭავჭანიძე - თავმჯდომარის მოადგილე;

კომისიის წევრი: ანდრო ასლანიშვილი – ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

კომისიის წევრი: ზაზა სეთურიძე – ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

კომისიის წევრი: ალექსანდრე გაბუნია – ადმინისტრაციული დეპარტამენტის ლოჯისტიკური, სამშენებლო-სარემონტო და საკადასტრო პროექტების კოორდინატორი.

კომისიის წევრი: აკაკი ზერეკიძე – სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული სპეციალისტი, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

**კომისიის აპარატის წევრები:**

პაატა ნარიმანიძე – შესყიდვების კოორდინატორი;

ეკატერინე ნაცვლიშვილი – იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

**დღის წესრიგი:**

სააგენტოს სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის №6-ში მდებარე შენობა-ნაგებობების (№1, №2, №3, №4 და №5) რეკონსტრუქციის კონცეფციის პროექტის და ესკიზის შესყიდვის მიზნით (CPV 71320000) განსახორციელებელი კონკურსის ფარგლებში საკონკურსო წინადადებების განხილვა.

**მოისმინეს:**

კომისიის წევრის ანდრო ასლანიშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საკონკურსო წინადადება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა ი/მ „არჩილ მენაბდე“-მ.

**კომისიისა და აპარატის წევრებმა ხელი მოაწერეს წერილს ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ.**

**აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა:**

რომლებმაც აღნიშნეს, რომ ი/მ „არჩილ მენაბდე“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლისა და საკონკურსო

პირობების მე-2 მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ არასწორად არის მითითებული მიმღების დასახელება, საბანკო ანგარიში და არ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელებას და საიდენტიფიკაციო კოდს;

2. საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებულ უნიკალურ ნომერს.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. ი/მ „არჩილ მენაბდე"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი არ შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლისა და საკონკურსო პირობების მე-2 მუხლის მოთხოვნებს.
2. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-8 მუხლის თანახმად ი/მ „არჩილ მენაბდე" დისკვალიფიცირებული იქნეს კონკურსიდან და სხვა კონკურსანტთა არარსებობის გამო კონკურსი გამოცხადდეს არშემდგარად.
3. კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სხდომის ოქმის კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასკანირებული სახით წარდგენა (სააგენტოს ელ. ფოსტა contest@procurement.gov.ge) კონკურსის სტატუსის განსაზღვრის მიზნით, ასევე სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისი შეტყობინების მომზადება და საკონკურსო წინადადებასთან (წარმოდგენილ დოკუმენტაციის პაკეტთან) ერთად კონკურსანტისათვის გადაცემა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

ლევან დავითაშვილი

კომისიის წევრები:

პაატა ჭავჭანიძე

ანდრო ასლანიშვილი

ზაზა სეთურიძე

ალექსანდრე გაბუნია

კომისიის აპარატის წევრები:

პაატა ნარიმანიძე

სხდომის მდივანი - ეკატერინე ნაცვლიშვილი

# ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

## ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

18.07.2013

ქ.თბილისი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ფარგლებში, სააგენტოს სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის #6-ში მდებარე შენობა-ნაგებობების (#1, #2, #3, #4 და #5) რეკონსტრუქციის კონცეფციის პროექტის და ესკიზის შესყიდვის მიზნით (CPV 71320000) 2013 წლის 19 ივნისს (# 831) გამოცხადებულ კონკურსში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და კონკურსში მონაწილეობით ინტერესთა კომფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარე: ლევან დავითაშვილი

კომისიის წევრი: პაატა ჭავჭანიძე

კომისიის წევრი: ანდრო ასლანიშვილი

კომისიის წევრი: ზაზა სეთურიძე

კომისიის წევრი: ალექსანდრე გაბუნია

კომისიის აპარატის წევრები:

პაატა ნარიმანიძე

ეკატერინე ნაცვლიშვილი

[illegible]

18 ივლისი 2013

ოპერ 19773

148

| | | |
|---|---|---|
| გადამხდელი | არჩილ მენაბდე, 01025017480 | **თანხა** |
| | გადამხდელის ანგარიში: GE98BR0099994501000023 | 50.00 GEL |
| გადამხდელის ბანკი | ქ.თბილისი, სს ბანკი "რესპუბლიკა" — ბანკის კოდი: REPLGE22 | |
| **საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე** | | თანხა სიტყვებით: ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი |
| დასახელება | არჩილ მენაბდე | |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 01025017480 | |
| მიმღები | ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრ | ბანკის აღნიშვნები |
| | მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი: 302009000 | |
| მიმღების ბანკი / ხაზინა | ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა" — ბანკის კოდი: TRESGE22 | ბანკში შემოსვლის თარიღი: 18.07.13 |
| გადახდის დანიშნულება | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო | გატარებულია ბანკის მიერ: 18.07.13 |
| დამატებითი ინფორმაცია | სატენდერო განაცხადისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური | ხელმოწერა |

BANK REPUBLIC
ბ.ს.კ. CODE REPLGE22

ხელმოწერები

18 ივლისი 2013 წ.

კოდი: REPLGE22

# სალაროს შემოსავლის ორდერი # 2

| | |
|---|---|
| მომსახურე ბანკი | სს ბანკი "რესპუბლიკა", ცენტრალურის ს/ც #5 (პეკინი) |
| მიმღები | კრედიტორები - ბანკში ანგარიშის არ მქონე ფიზიკური პირების ერთჯერადი გადარიცხვებისათვის |
| შემომტანი | არჩილ მენაბდე |
| საბუთის მონაცემები | პირადობის მოწმობა: დ 1236167, პირადი #: 01025017480 |
| შემოტანის დანიშნულება | შემოსავალი გადასარიცხად |

ოპ.კოდი: 32

სახაზინო კოდი:

დებეტი ანგ. N:
90111005000000

კრედიტი ანგ. N:
GE98 BR00 9999 4501 0000 23

თანხა

**51.00 GEL**

თანხა სიტყვებით

ორმოცდათერთმეტი ლარი 00 თეთრი

14804744

ოპერ. 19773

შემომტანი:

ბანკის პასუხისმგებელი მუშაკი

მოლარე:

BANK REPUBLIC 25/7 REPLGE22